თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 5

ქ.თელავი 21. 05. 2021 წ.

თავმჯდომარეობდა: სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, გიორგი მეტრეველი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის N08 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ნორმატიულ აქტში განხორციელებული ცვლილებები, განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეკომენდაციით, რომლის თანახმად, აუცილებელი იყო დაკონკრეტებულიყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის მუხლები, რომლებზეც საჯარიმო ქვითრის გამოწერის კომპეტენციაც განეკუთვნება აღმასრულებელ ორგანოს. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, თელავის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე უნდა შეიქმნას სპეციალური ველი, სადაც მოხდება საჯარიმო ქვითრის ელექტრონულად განთავსება.

კომისიამ საკრებულოს სხდომამდე მერიის შესაბამის სამსახურს განუსაზღვრა გონივრული ვადა, ხარვეზის გამოსასწორებლად.

გადაწყვიტეს: ხარვეზის გამოსწორების შემდგომ ,,თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის პროექტი წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

მოისმინეს:2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის განცხადების განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: **ნანა ხვისტანმა** მოახდინა კომისიის წევრების ინფორმირება საკრებულოს წევრის **ლევან ლილუაშვილის** მიერ სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გამო, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 43-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, აღნიშნული

გარემოების შესახებ საკითხი უნდა წარედგინოს საკრებულოს სხდომას რიგგარეშედ ცნობის სახით

გადაწყვიტეს: საკრებულოს წევრის ლევან ლილუაშვილის მიერ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საკითხი, წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, რიგგარეშედ შესატანად.

კომისიის თავმჯდომარე: ნ ნანა ხვისტანი